თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2157802

ნომერი: AR1330519

თარიღი : 28.07.2015

გაცემის თარიღი : 26.08.2015

გაცნობის თარიღი : 26.08.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ოქროყანა , ნაკვეთი 03/106 / ქალაქი თბილისი , შატბერაშვილისა და კეკელიძის ქუჩების მიმდებარედ, (ნაკვეთი 03/077) / ქალაქი თბილისი , ოქროყანა , ნაკვეთი 03/027 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალი გაჯიევი პ/ნ 01020009037
- თბილისი დ.ჟღენტის ქ. N 130

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 28/07/2015წ. AR1330519 განცხადება, რომლითაც მოითხოვეთ ტექნიკური შეცდომის გასწორება ამავე სამსახურის 24.07.2015წ. №2030139 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

როგორც მოგეხსენებათ, 06.08.2015 წლის #2055108 ბრძანებით, ხოლო შემდგომ 17.08.2015 წლის #2141281 და 19.08.2015 წლის #2149820 გადაწყვეტილებით დაგიდგინდათ ხარვეზი და განგემარტათ, დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, 06.08.2015 წლის #2055108 ბრძანების საფუძველზე, თქვენი განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ 19.08.2015 წლის #2149820 გადაწყვეტილებას გაეცანით იმავე დღეს, ხოლო განსახილველად სამსახურში შემოაბრუნეთ 24.08.2015 წელს. თუმცა ხარვეზები არ იქნა გამოსწორებული. წარმოდგენილი საზაფხულო ფართების მოცულობა და კონტურები განსხვავდება სამსახურის მიერ შეთანხმებულ პროექტში არსებული მონაცემებისაგან. ამდენად, რადგან სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ იქნა დადგენილი ხარვეზი გამოსწორებული, თქვენი 28/07/2015წ. AR1330519 განცხადება რჩება განუხილველი.